სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი **14 ივლისი, 2016 წ.**

ერთის მხრივ აი(ი)პ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი (ს/კ 237079102, სახაზინო კოდი: 4227, ორგანიზაციული კოდი: 05020204, მის: ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ.№6) საფინანსო–სამეურნეო განყოფილების გამგის გიორგი ქერქაძის სახით **(შემდგომში შემსყიდველი)** და მეორეს მხრივ შპს „დეკორი"(ს/კ 203868635, მის: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. 157) დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით **(შემდგომში მიმწოდებელი)**, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის წესით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე;

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"(შემდგომ-„ხელშეკრულება")- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2"ხელშეკრულების ღირებულება"-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3"შემსყიდველი ორგანიზაცია"(შემდგომ-"შემსყიდველი")-ორგანიზაცია(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4"მიმწოდებელი"- ორგანიზაცია, (შემდგომ "მიმწოდებელი") – ორგანიზაცია, პირი რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5"დღე","კვირა","თვე"-კალენდარული დღე,კვირა,თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ხელნაკეთობების და ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად საჭირო მასალების (CPV37800000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის წესით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2 შესყიდვის საგანია:

2.2.1. ცენტრის შემოქმედებითი სტუდია სახელოსნოში განსახორციელებელი პროექტის „პირველი ნაბიჯის" საჭიროებისათვის სამხატვრო ფუნჯების, სახატავი ფანქრების, სახატავი კალმების, სახატავი ქაღალდებისა და მუყაოების შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საგანია:

2.2.1. ცენტრის შემოქმედებითი სტუდია სახელოსნოში განსახორციელებელი პროექტის „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში" საჭიროებისათვის სახატავი ქაღალდებისა და მუყაოების შესყიდვა. /**დანართი ინვოისი**/

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაიხადოს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით;

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნული ვალუტით გაწეული მომსახურების შესაბამისად.
4.2. ხელშეკრულების ღირებულებაა 133.71 (ასოცდაცამეტი და სამოცდათერთმეტი) ლარი:
4.3ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით.
4.4. შესყიდვის ღირებულების გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე შემსრულელის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.5. შესყიდვის დასრულება გაფორმდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. შესყიდვის საგნის გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის საგნის ხარისხი უპასუხებს სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5.2 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის საგნის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6. შესყიდვის საგნის მიწოდების ვადები:

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის საგანი არაუგვიანეს 2016 წლის 25 ივლისისა;

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 5 აგვისტომდე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესები

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მდგომარეობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი ვადით, გარემოებათა დასრულების შემდგომ.

10.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულებული იქნება წერილობით დახელმოწერილი მხარეთა მიერ.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, წერილობით, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

10.5. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მ.ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის თანამ. სახვ.ხელოვნების ცენტრი	შპს „დეკორი"
ქ.ოზურგეთი, რუსთაველის ქ # 6	ქ. თბილისი, ზელთაშვილის 157
საქართველოს ცენტ.ხაზინა, TRESGE22	სს „პროკრედიტბანკი"" MIBGGE22
	ს/ნ GE66PC0133600100062479
სახაზინო კოდი: 742273459 ორგანიზაციული კოდი: 59 05020204	
ს/კ 237079102	ს/კ 203868635
/ზ. ქერქაძე/	/დ. კვეკვესკირი/

მ. ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი
MERAB BERDZENISVILI MODERN FINE ART CENTER OF OZURGETI
237079102

"DEKORI"